

**ოქმი N16**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის**

2018 წელი, 3 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

11.00 სათი -13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე; მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, ე.გორდელაძე. ფრაქციათა თავმჯდომარეები: გ.ჩავლეშვილი, შ.გოგიბერიძე, ბ.დოლიძე, ალ.დლონტი, გ.თოიძე, ლ.მგელაძე, ხ.ცერცვაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, გ.ჩავლეშვილი, ვ.ჩიგოგიძე, ნ.ორაგველიძე, შ.თავდიშვილი, თ.გოგუაძე, ვ.ბერიძე, გ.მდინარაძე, ბ.ქათამაძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, მ.ზოიძე, რ.სკამკოჩაიშვილი, ტ.აროშიძე, ვ.ნიჭარაძე, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, ლ.კილაძე, თ.ბურჭულაძე, ვლ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, ლ.სიჭინავა. ქ. ვასაძე, დ. მამალაძე, ვ. ჩხაიძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალ. სურგულაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, საკრებულოს მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 39-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 39- ხმით.

ე. გორდელაძემ გააკეთა განცხადება, რომ 27 სექტემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში

შემოვიდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს სხდომის ოქმი. სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ტარიელ არაშიძე, მოადგილედ გელა ჩავლეშვილი და სთხოვა საკრებულოს ეს ინფორმაცია მიეღო ცნობად.

### **დღის წესრიგი**

46.1 „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: თეიმურაზ მოქია**

**ლელა საჯაია**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლელა საჯაიამ გამოთქვა აზრი, კერძოდ: დადგენილების 1 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ა) აქვს უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიული განათლება.

47.2 „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: თეიმურაზ მოქია**

**ლელა საჯაია**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

48.3 „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქვევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: თეიმურაზ მოქია**

**ლელა საჯაია**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

4. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის

დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: თეიმურაზ მოქია**

**ლელა საჯაია**

პროექტის წარმდგენმა თ. მოქიამ ითხოვა აღნიშნული დადგენილების პროექტის მისაღებად ვადის გადაწევა.

გ. ლურჯუმელიძემ განაცხადა რომ საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე პროექტი კვლავ საჭიროებს დახვეწას. გამომდინარე აქედან, საკითხი ამოღებული იქნას დღის წესრიგიდან განხილვის პროცესში წარმოადგენილ იქნას გეგმა.

ლ.საჯაიამ აღნიშნა რომ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული დადგენილების პროექტი და მხარს უჭერს პროექტის დღის წესრიგიდან ამოღებას.

მიღებულ იქნა 36-ხმით

49.5 „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: თეიმურაზ მოქია**

**ლელა საჯაია**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

50.6 „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**თამაზ ლომჯარია**

**გიორგი ჩაგანავა**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

51.7 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**მალხაზ გორგოშიძე**

**გოჩა კილაძე**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

52.8 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**მალხაზ გორგოშიძე**

**გოჩა კილაძე**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

53.9 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**გია მამაკაიშვილი**

**გიორგი ჩაგანავა**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

54.10. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**თამაზ ლომჯარია**

**ლავრენტი ბიგვავა**

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომის მთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**თამაზ ლომჯარია**

**ლავრენტი ბიგვავა**

გ. ღურჯუმელიძემ დასვა საკითხი, რომ დადგენილების პროექტის განხილვა გადაიდოს. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერიას დაიწყოს შესაბამისი პროცედურების განხორციელება კურორტ გომისმთისათვის დასახლებული ტერიტორიის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

მიღებულ იქნა 36-ხმით

67.12. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2022 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ლავრენტი ბიგვავა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“-თავმჯდომარის მოადგილემ, მ. ჩხიკვიშვილმა დასვა შეკითხვა, თუ, რატომ არ არის სამუშაო ჯგუფში ჩართული საკრებულოს წარმომადგენლები, რაზედაც მიეცა განმარტება.

გ, ლურჯუმელიძემ განაცხადა, რომ განკარგულების პროექტის ირგვლივ მოსაზრებები და შენიშვნები წარმოდგენილი იქნას მ/წლის 22 ოქტომბრის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის.

68.13. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სერვიტუტით გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**მალხაზ გორგოშიძე**

**გოჩა კილაძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

კომისიის თავმჯდომარემ ლ. ბიგვავამ განაცხადა რომ პროექტს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მერიამ შემდგომი მუშაობის დროს.

69.14 „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**მალხაზ გორგოშიძე**

**გოჩა კილაძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

ლ. ბიგვავამ აღნიშნა, რომ საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილია მუზეუმის შენობაც, რომელიც ძალიან ფრთხილ მიდგომას საჭიროებს.

ლ. საჯაიას აზრით, მუზეუმში, სადაც დაცულია იშვიათი ექსპონატები საგანგაშო მდგომარეობაა. ექსპონატები, რომლების საჭიროებენ გაფრთხილებას.

მ. ზოიძემ სოფ გურიანთის მაჟორიტარმა დეპუტატმა განაცხადა, რომ მუზეუმის შენობა არის ავარიული. იქ დასაქმებულია 3 თანამშრომელი. მიუხედავად შენობის ავარიული მდგომარეობისა, მუზეუმს ყავს ვიზიტორები. ამიტომ გადასახედია შენობის პრივატიზების საკითხი.

დავით დარჩიამ დაავალა კომისიას შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და

წარმოადგინოს დასკვნა.

გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ განკარგულების პროექტის ირგვლივ მოსაზრებები და შენიშვნები წარმოდგენილი იქნას მ/წლის 22 ოქტომბრის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის.

70.15. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატოო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე**

**მარინა ჯაფარიძე**

**ეროდი გორდელაძე**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

დეკლარაცია ვასილ ჩიგოგიძემ წარმოადგინა მოსაზრება დადგენილების პროექტში შეტანილ იქნას საკითხი მემორიალური დაფების დამზადებისა და განთავსების თაობაზე.

გ. ღურჯუმელიძემ განაცხადა, რომ დადგენილების პროექტის ირგვლივ მოსაზრებები და შენიშვნები წარმოდგენილი იქნას მ/წლის 22 ოქტომბრის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის.

71.16. „ქალაქ ოზურგეთში ერისთავის ქუჩაზე საგზაო ნიშნის განთავსების ორგანიზების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 36-ხმით

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

